



# თეატრი და სხოვრება

ავთოჯივრთ სავლიცურაფურთ აქერნალა

№ 15 — 1915.

შიილება ხელმოწერა 1915 „თეატრი და სხოვრება“-ზე

12 აპრილი



მსახიობ-რეჟისორი შალვა დადიანი  
დღევანდელი ბენეფისის გამო ბაქოში.

წელიწადი  
მისამამ

მიიღება ხალხოვნა 1915 წ.  
ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ.  
ნახევარი  
წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

ეუმორისტულ განყოფილებით და შარუებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშე

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „კოდნას“ წიგნთსაყაპროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში თ. შთაფრიაშვილის წიგნთსაყაპროში ს. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის 3/4-ი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлиς, Ред. Театри да Цховреба „Иосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახალხან გაიხსნა

## ა ვ შ ი ი კ ე ი

მწოვიზორის ა. ს. აბულაძისა  
(სამხედრო ჟურნისა და გოლოგინის პროსპექტის კუთხე), (5—3)

## დღეს 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. სახ. სახლში ბებილინას დილა

ს. ჭიჭინაძის

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

ოთხშაბათს 15 აპრილს, თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. აშხ-ბას შიერ წარმოდგენილი იქნება:

## ოიდიკოს მეფე

თარგმ. კ. ანდრონიას

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-ამდე

დასაწყისი სად. 9 საათზე.

რეგ. მ. ქორელი

რადგან მომჭმენი პირნი პარტერიდან შემოდიან სცენაზე, 9 ს. შემდეგ ყველა კარები დაიკეტება და თეატრის დარბაზში არავის და არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ. ამხანაგობის აღმინისტრაცია.

## აჭარის შესახები წიგნები

1. ოსმალეთის ყოფილი საქართველო ფ. 50 კ.
2. მუჰაჯირი ანუ დიდი გადასახლება ქართველ მაჰმადიანთა ფ. 50 კ.
3. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები საქართველოში ფ. 60 კ.

ისილები „განთიად“-ს კანტორაში გ. მ. მახარაძესთან (მიხელის პრ. № 18) ფოსტით მისამართი: Тифлиς, 2-я Тумановская, № 32. Зах. Чичинадзе — ვინც ავტორისაგან—ზ. ჭიჭინაძისაგან—გაიწერს გასაგზავნი ფასი არ გადახდება. (5—4)



№ 15

წელიწადი  
8 6 6 8 8

წლიურად 5 მ., ხანგვარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифლის Ред.-Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოწერვლი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნწერები საქართვებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება, სორაპანის“ სტამბის კანტარაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 15

კ ვ ი რ ა 12 ა პ რ ი ლ ი

1915 წ.

12 ა პ რ ი ლ ი

ყოველმხრივ  
შეუჩერებელივ

არა ერთხელ გვითქვამს, რომ მხოლოდ თვითმოქმედს, ფიზიკლსა და ცხოვრებისთვის მუდმივ მხარუნველს ენიჭება შეგნებული სიცოცხლის უფლება .. ადრე თუ გვიან მხოლოდ იგი გახდება მსოფლიო ტრაგეზის მონაწილე, რომელიც ამისკენ შეუჩერებელივ და შეგნებით მისწრაფვის სულიერ-ნივთიერ მსხვერპლის განწირვით..

ჩვენ აღარ მოგვიხდება მკონარობა არც ერთი წუთის უქმად დაკარგვ; ძველებური ქვიფ-ღიზიები, უაზრო დროს ტარება.. ყოველი ნაბიჯი ჩვენის ცხოვრებისა, ყოველი სიტყვა ჩვენი, ბეჭდვითი თუ ზეპირი, ჩვენის ქვეყნის საერთო კეთილდღეობას უნდა ევლებოდეს თავს, ყოველი აზრი ჩვენი ჩვენის ხალხის წინსვლის ხმარდებოდეს..

სამოქმედო ასპარეზი: კი ძლიერ ფართოა: ომიანობისაგან დაზარალებული ხალხი, ზოგან დამშეული, დაბა-სოფლად რიგან სახალხო წარმოდგენებისა და ლექცია კითხვების მოწყობა, ქართულ თეატრის ასაგებ ფონდისა და აქარელთა სასარგებლოდ ფულის შერგოვება, ზეპირ-სიტყვაობის შეკრება-ჩაწერვა. და სხ.,—აი რამდენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.

ნუ ვვლით ვინმემ დაგვაფალოს ანუ შემოგვიკვეთოს: ყოველმა ჩვენგანმა თითონ უნდა გამოიჩინოს თავისობა. მაგ ზები-სიტყვაობის შეკრება, რომელიც ჩვენმა დიდებულმა მოძღვარმა აკაკიმ გვიანდერმა, ყველა ჩვენგანს შეუძლიან, თუ საქმეს სიყვარულით და შეგნებით მოეპყრობა. კერძო თავისობის საუცხოვო მაგალითი გვიჩვენა, სხვათა

შორის, ქ-მა ანეტა კაპანაძისამ, რომელმაც ბლომად შეჰკრიბა ხალხური შემოქმედების ნიმუშები და ახლა კიდევ გლესკაცობში დადის, ს-ვლითისოფლად, და ჰკრებს ხალხურ ნაწარმოებთ. ხალხი კი უფრო გულახდილი, ბუნებრივი ახლო მცნობთან არის, თავის სულიერ მახლობელთან. ასევე უნდა მოიქცეს ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხის შეგნებული შვილი—სოფლის მასწავლებელი, მღვდელი, თვითგანვითარებული სოფლის შვილი, მასწავლე ახალგაზღობა და სხ., ვინც კი ფიქრობს თავისი ცხოვრება უქმად არ დააღამოს.. სასურველი და ფრიად საქირაა ჩაწეროს ხოლმე გლესკაცთა მისწრებული სიტყვებიც, ხალხური ამბები და სხ.

ასეთივე საკუთარის თაოსნობით უნდა დაიწყეთ ყველგან (ბევრგან დაუწყეთ კიდევ) ქართულ თეატრისა და აქარელთა სასარგებლოდ ფულის შერგოვება: ნუ დავკარგავთ ნურც ერთ შემთხვევას—წარმოდგენას, ნაიღმს; დღეობას; თუ კერძო სტუმრობას,—და ყველგან ყოველთვის ყოველის ღონისძიებთ შევკრებთ ფული და სასწრაფოთ ვავჯუნათ დანიშნულ ადგილს..

წინ, წ-ნ წამოდექით ხალხის შვილნო—სოფლის მასწავლებლნო, ქემპარტიონო სულიერნო მოძღვარნო, შეგნებულთ და თვითგანვითარებულთ მუშა-ვალენო, დასასვენებლად დათხოვნილთ მოსწავლენო, რა წრისა და მდგომარობისც უნდა იყენეთ, და მზნდ შეუდექით ჩვენის ერის საკეთილდღეოდ მუშაობას: ქვეყნის საქმე მარტო წერით არ გაკეთდება, არამედ ნაწერის შეგნება-გავრცელებით და პრაქტიკული მუშაობით..

და ასე, ხელი-ხელ ჩაიკიდებულთ, ვიმუშაოთ ყოველმხრივ შეუჩრებელივ.

დაე, ჩვენმა თვითორქმედებამ მოგვანი-კოს ის, რაც ისტორიულმა ჩარხს ტრიალმა და ცხოვრების უკუღმართობამ წაგვართვა ..

მხოლოდ საკუთარის ტელით უნდა ავი-გოთ ჩვენი სამლოცველო, გავალიყოთ ჩვენი კერა...

**ჭეშმარიტი მუშაკი**



ქართული სტენის ტეშ-მარიტი მუშაკი რომ მხოლოდ აქტიორბიოვერ დაქაყოფილდება და ქარ-თული სტენისათვის უმე-ტესად მშობლიურ ნადაგ-სე ზღვრული მსახიობია სასურველი, ეს ცხადი დებულება, სწავთა შო-რის, შაღვა დანაწმად ს.

**შალვა დადიანი** ქმედ აქცია... (დღევანდელი ბენფისის ზენი სტენა ჟერ კიდევ გამო ბაქოში) ზრდაშა, მისი ასპარე-ზი გაფართობას ითხოვს, ჩვენი ღარიბი დრამა-ტურგია—გამდიდრებას და სხ.

და შალვა დადიანი ერთი პირველი თუ არა, მთავარი მოღვაწეთაგანია ამ ასპარეზზე:

მისიობა, რეჟისორი, დრამატურგი, მწე-რალი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, მო-გზაური დასის დამფუძნებელი, ბათუმის თეატ-რის საძირკვლის ჩამოყალი და სხ., უკვლავ ამ ასპარეზზე მუყაითა, მხნე, ნაყოფიე-რი მუშაკი, ქართული სსსტენა სელაგებისა და მწერლობის დაუცხრომელი გამწვრტელებელი— ა შალვა დადიანი!...

შარშან შავი ზღვის ნაზირას თეატრის დამფუძნებელმა, წელს კასპის ზღვის ნაზირს გადაიტანა თვისი სამოქმედო ასპარეზი: ბაქოს დრამტიკულმა წრემ იგი რეჟისორად მიიწვია...

იგიც მხნედ შეუდგა მუშაობას.

ჩვენი და სხვა გასეთების კორესპონდენ-ტნი სელაგეთზირად აღნიშნავენ მის ნაყოფიერ მუშაობას, ხოლო უფრო ახლო თვით ბაქოელ-ნი იცნობენ .

დღეს ბაქოს დრამტიკული წრე თავის სს-სახელა რეჟისორს ბენიფისს უმართავს.


ეს არის სტენის მუშაკის ნიეთიერ ზნეობრივი ჟილდო ნამუშევრისა.

ბაქოს საზოგადოებას ევალება თავის სტე-ნის საზოგადოთა ქურუმ-მოღვაწეს დირსეუელი და კუთუნილი ჟილდო მიუხდოს...

**ს ი ბ ე რ ი**

უკვე მოგზუცილი .. სულის კუნქულში შემომეხიზნა ექვი და სნება; ცივი ზამთარი სუფევს ჩემს გულში და სიხალისეც ქნება და ქნება...

ბელო, რა უყავ დღე ყმაწვილობის, რა უყავ ჩემი გიგმათი გრძნობა: წაიღე ყველა, ოლონდ მომეცი, მომეცი ჩემი ახალგაზლობა!..



**კონსილიუმი**

(დასასული იბ. „თ.და ც.“ № 14)

— ავადმყოფის მღვამარეობა მეტად საშიშია! დიწყო ერთმა, როცა ექიმები მარტო დარჩენ.

— ხნიერია, მასთან ძლიან მსუქანი. ასე რომ ყოველისფერს უნდა მოველოდეთ აქ დაუმატა მეორემ.

— ვად ახლახან გამხდარა; ასე რომ შეიძლება მალე კიდევ მოიხედოს, ვინ იცის! წარმოსთქვა მესამემ: ჯერ-ჯერობით გადა-კრილს ვერაფერს ვიტყვი.

— წარსულში ათამანგის ნიშნები..

— უკაცრავად, კოლლეგა, სიტყვა გაგა-წყვეტინეთ, მიუბრუნდა პირველი ექიმი მე-ოთხეს: აზრი სრულეებით აღარა აქვს, სუნ-თქვა საძაგელი, მ ჯა სუსტი. თუ ასე გაგ-რძელდა, ავადმყოფის პატრონს ჩვენ მიმდს ვერ მივსცემთ

— იმედს, რასაკვირველია, ვერ მივ-სცემთ, მაგრამ გადაკრიოთაც ვერას ვეჭვიოთ. შეიძლება კიდევ გამ-ბრუნდეს, ვინ იცის! უზასუბა მესამემ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! კვერი დაუ რა პირველმა.

— წარსულში ათამანგის ნიშნები არ სჩანს. ილიებში და კისერზე ჯირყველები



**ქნ. ეკატერინე  
თავ. 6. რ. ერისთავის ქვრივი,**

ქ. შ. წ. ს. საპატია წყვრად არჩეული, რომელმაც ქმრის სხონის აღსანიშნავად შესწირა წ. კ. ს. 10,000 მან., ქართულ თეატრის ასაგებად 3000 მ., სცენის მოვლაწევა ოქმების გამოსაცემად 500 მან. და სხ. (იხ „თეატრი და ცხოვრება“ № 14)

არა აქვს წამოსიებული. ცოლს მუცელი არ წახდნია. ყოველივე ეს, რაც უნდა იყოს, ავადმყოფის სისარგებლოდ ღაპარაკობს. წარმოსთქვა მეოთხემ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! დაეთანხმა პირველი: ჩემს პრაქტიკაში ყველაზე ცუდათ იმათი საქმე წასულა, ვინაც წარსულში ათაშანიე ჰქონია.

— ასეც უნდა იყოს, რადგანაც ეს სნეულება იწვევს არტერიების ნაადრევ სკლეროზს, ჩაურთო სიტყვა მეხუთემ. ცხადი სურათი კია წვეთის დაცემისა; ნახევარი მხარეც დადამბლავებული აქვს.

— დაიგროზი ცხადია. ახლა უნდა შევთანხმდეთ წამლობის შესახებ. დიწყო პირველმა. ჩემის აზრით ამ ხანად საჭიროა ყინვა თავზე და საფადარათო.

— სისხლის გაღების შესახებ რა აზრისა ხართ? დეკითხა მეორე.

— მე არაფერი არა მაქვს წინააღმდეგი, თუმცა სარგებლობაც სავსევით მიმანჩია. წარმოსთქვა პირველმა.

— მე, როგორც ძველი ექიმი, წურბ ლების მომხრე ვარ. ცოტას რომ მაინც დასწევს სისხლს, ამის უარყოფა არ შეიძლება. მე დავასახადი ყურის ძირებში ექვს წურბელს, სამს მარჯვნივ, სამს მარცხნივ. წარმოსთქვა მესამემ.

— წურბლების მიგვირად მუშევიც შეიძლება, — დაუმატა მეოთხემ: აშვეარ შემთხვევაში მე ბევრჯერ მიმიმართავს მუშევიცისათვის და კმაყოფილი დავრჩენილვარ.

— მე მაინც წურბლებს ვაშჯობინებდი. შეიძლება ეს დაძველებული საშუალება იყოს, მაგრამ ძველი ყველაფერი ხომ უვარგისი არ არის, როგორც ყოველივე ახალი ყოველთვის კარგი არ არის. წარმოსთქვა მესამემ.

— მე წურბლების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მხოლოდ ექვსი ცოტაა: თუ დავასხავთ, ბარემ დავასხათ. მე მომხრე ვარ ათი წურბლისა, სთქვა მეხუთემ.

— არა, ათი ძალიან ბევრ სისხლს გამოიტანს, მოხუცებულთა. თუ მაინცადა მაინც, წურბლებს დავასხავთ რვა წურბელი საკმარისია. წარმოსთქვა მესამემ.

— მაშ რვა წურბელი. მუცელში გასახსნელად რა მივცეთ? დიწყო ისევ პირველმა.

— მე მგონია, ჯარგი ოყნა ყველაფერს აჯობებს. წარმოსთქვა მესამემ.

— სისხლს უფრო დასწევს და თანაც უფრო გასწმენდს სინამაქის ფოთოლი. ჩაურთო მეოთხემ.

— მართალია, მაგრამ სინამაქის ფოთოლი ორ-სამ საათზე ადრე არ გასქრის და მუცლის გაწმენდა კი ახლავა საჭირო. ამიტომ ახლავე ოყნა გაუფრთონ და შემდეგ ნელანელა სინამაქის ფოთოლი აძლიონ ორ საათში თითო სტოლის კოვზი, რომ კუჭმა ყოველ დღე იმუშაოს ორჯერ-სამჯერ. წარმოსთქვა მესამემ.

— ოყნაში საჭირო იქნება ერთი ან ორი კოვზი გლიცერინი. ჩაურთო სიტყვა მეხუთემ.

— ზეთი უკეთ მოქმედებს, ცოტა საპონი რომ გაქნან და ორი კოვზი საფადარათო ზეთი გაურიონ, მშენევირად იმოქმედებს, სთქვა მეოთხემ.

— გულის მოსაღონიერებლად მე საჭიროთ მიმანჩია აღონისი. ცოტა ბრომიც შეიძლება ჩაურთოთ, წარმოსთქვა მეორემ.

— მე არაფერი არ მაქვს წინააღმდეგი. ცოტა ქაფურიც რომ მივცეთ, რომ გული

მალე მოულონებლად, ასე ორ-სამ საათში თითო გრანი, ჩემი ფიქრით კარგი იქნება. წარმოსთქვა მესამემ.

— უმთავრესი კი დავავიწყდა. დაიწყა პირველმა: ლილასტის კანადენზის!

— რასაკვირველია, ვგეტყვი. დაეთანხმა მეხუთე. სხვებმაც თავი დააქნიეს თანხმობის ნიშნად

— მის ლილასტის, ალანისი, სინამაქის ფოთოლი, წურბლები, ყინული და ახლოვე ოყნა. სიტყვა პირველმა, აილა ქალაქი, წამოხზა და დაიწყო რეცეპტის წერა.

— ექს კონსილიო! წაპოიძხა მან, როცა წერა გაათავა. აბა, მოაწერეთ ხელი.

ექიმებმა სათითაოდ ხელი მოაწერეს რეცეპტს.

— კოლს რა უთხრათ, კოლს? დაეკითხა მეხუთე სხვებს.

— ვეტყვი, რომ ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია, თუმცა სულ უიმედოდ არ არის და სხვა და სხ. ღიმილით მიუგო მესამემ.

— ექიმო, ექიმო! ტირილით შემოვარდა ამდროს მიხილ პეტრეს ძის უმცროსი ქალი: პაპა, პაპა! ქალს ზღუქუნდი აუარდა და, ვეღარ დაამთავრა თქმა.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს და ავადმყოფის ოთახს მიაშურეს.

მიხილ პეტრესძე თითქოს იმათ შემოსვლას უცდიდა, — ერთი უქანასკნელად ამოიფშინა და განუთქვა სული.

კოლი მუხლებზე დაეცა, თავი მიცვალებულს დაადვა გულზე და ქვითინი დაიწყო. შეიღებოდა მოშორებით იღვენ და ცხარით სტიროდენ.

ექიმები ფეხაკრფით გამოემწყობივნენ წეროებივით; თითქოს ყველას ცხვირები წამოგტელებოდა. წყნარად ჩაიკვეს პალტოები და დარცხვენლებივით გამოვიდნენ გარეთ.

— მაგ მამაცხონებულს, სწრაფი მატარებლის ბილეთი თურმე გიბეში ჰქონია და ჩვენ რეცეპტს რაღას მოუძლიდა? იოხუნჯა მესამემ, როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ

ვ. კ. მ. მ.

# ს ო ნ ე ტ ი

შენ მას ეტრფოდი.. შენი ალერსი გულს ჩაეწვევა სიყვარულადა, სიტკბო შეასვი შხამში ნაღესი, და დიომონე იგი სრულადა..

გაუფხულზედა მასთან ხარობდი, მასთან შევებითა კრებდი ყვავილებს, ტრფობის პეპელა ვნებას აქრობდი, — მით უზადებდი ტანჯვის ბორკილებს..

ჰოი, ბოროტო! რად მოუშხამე წუთის სიცოცხლე მადლი სულისა?.. — მოკვდა სიწმინდე, გაქრა სიამე, დასქნა ყვავილი სიყვარულისა?

ღარია ახვლედი.ნი

# შ ა ა ა შ ა ! შ ა ა ა შ ა !

აღ რ სქექდა გახუზულ მთის ზურგს ამოფარებული პირლია ზარბაზანი.

აღარ იძვროდა მთა დაბზარული, მთა საკლდობისაგან მზორგავი.

ჯოჯობითიდან აღმომსკარი ცეცხლის ტალღა აღარ მიაფრენდა ფიქსა და გრძობას მონა კაცისას.

ფრთა მოღუნებული სამ რ ს სიო დაქრილთა უქანასკნელ აღმომშენივას ულოლია ვებდა..

ჰკვენესდენ, ოხვრავდენ ცის ქვეშ მარტოდ შეენილნი შორი-შორს მიმოყრილნი მემომრნი.

ჰკვენესდენ და ამ ოხვრა-ვენესაში ჩაქსოვილი გამოუთქმელი მწუხარება ყრუ გოდებდა მომაცდელთა ვიხვილ სულთქმაში..

შორს.. განმარტოებთ იღვა ზღვევის სურვილით გაეცნეული პორუჩკა ვლადი პირი და მოპირდაპირე მთის უფრსკრლისაკენ დაქანებულ ფერღზე რბოდა თვლი მიისი ისე ვით ომს ტრიდლ მინდორზე სანდიროდ გაკანდილი თვალი მარდი ვეფხისა

დაუცხრომელი გული ციბებდა მსხვერპლს, რომ ერთე ვეზა ვეზი ახვრთებული და... აბა... გამოჩნდა კიდევ: შავი, მოდილო წერტილი წაჩიტაცა მხეველიობა მიი.

— ისიდორ პავლოვიჩ! ისიდორ! დაიგ-



**მსახიობი ვალერიან გუნია**

საკუთარი დასი შეადგინა და იაფ-ფასიან წარმოდგენებს ჰპართავს თბილისსა და პროვინციაში.

გვინა ამთავარებული ხმით და მეორე მხრიდან მას მქუხარე ბანი მოსცა მსწრაფელ ყალკზე დამდგარმა ისიღორემ.

— ისიღორ! გვისმა ხელმეორედ აღმასისებური ხმა: „ხედავ?! ხედავ ღვთის შემოლილივით რომ მიბლოტავ?! ქკაზე შედგა, ხელეში აღაპყრო აღაპისადმი!!“

— ვეღაო, — ცოტა ხნის შემდეგ გადასახა პასუხად ისიღორემ და გალომებულმა ბურთის სიმჩტით ააგდო თოფი, მაგრამ ვლადიმირის მქუხარე ხმამ წარუკვეთა ხელი და აღმართული თოფი ნელ ნელა დაეშვა.

— მე და ჩემი ერთგული მეგობარი, კოხტად დაჰკრა ხელი კონდახს, დავ ნთხევივინებთ სისხლს ურწმუნო ოსმალსო.

ზღაპრული სიმკვირცხლით შეათამაშა თოფი ჰაერში და იმ სასოების წუთს, როდესაც თურქი ეგერდებოდ: „აღაჰ! აღჰ! მოიდე ძალა, ცეცხლში იწეება შენი ხვედრი, შეგვიფარეო“, თოფმაც დაიქეცა და გ ნგმირული მლოცველი თავდაყირა დაეშვა..

— ვააშ! ვააშა! გიეური აღტაცებით აფრქვევდნენ, თითქო სახეიმიო შეჯგუფულნი ამხანაგნი მალა ასროლიდს, უზომა სიხარულისაგან გარეტიანებულს ვლადიმირ...

— ვაჰშ!... ვაჰ!..“ გულნატკენად ლულულუღებდა შემოერთებული ისიღორიც: სტკიოდა სული, რომ ბედმა სხვას არგუნა ქების აკვანში ნებეირობა.

**გ. დათიაშვილი**

**ფუფუკი ხმაზე**

(ძღუნად ქ. გ. დ.)

ვიცი, ძმავ, ვიცი რადა ხარ სევდით მოცული სახითა, — ვაჟ-კაც ვავლახად დამმულხარ, ვითა კაკაბი მახითა.

ვერ გაგიშლია შორით შორს მშვენიერად ფრთები მალია, შემოგვხვევია ცხოვრების სულთამხუთავი გალია.

გვერდით გიყრია ენგულთი ყირიმი, ფარი, ხმალია, ვერცა გაჰფერამ, ვერც იხმარ, მტერმან აგბა თვალთა.

აგერ მერანიც კიხინებს, ლამის მოახტეს მხედარი; მხედარი შენებრ ვაჟი აბა მეორე სად არი?

მაგრამ რას იზამ! არ გხურამს თავზედან მუზარადია, აბჯარ-ჯაგშანი დახეულ ასი წელ მტვერში აგლია!

ველარ გაჰქუსლავ ტაიქსა, ვერ დამიუქრებ ქართულა, — ტოლ-ამხანაგი ყველაი საიქიოსა წასულა.

მათ ნაოხარსა ტიალზე ზუზუნით დადის ქარია; ზედ მოსთქვამს, ზედან ლულუნებს, ვითა გლოვისა ზარია,

შენ მარტოცასა ობოლსა, რა გშველის, რა გახმარია?! შენს თავ-განწირულს კვიინას იყრუებს მთა და ბარია.

მაშ ჰვიქრობ — მოკვედ სჯობია სიცოცხლე რა სახმარია! ცოცხალი ლეში თქმულაო მკვდარზედან უფრო მკვდარია!

**გიო მყირი**

# ნაეზოს ზღვაზე

(მანიატურება)

## I გვლის სიმღერა

მშობელ დედასაც მალ მოსწყინდება პირშუოს აღერსი და ტკბილ ძუძუებს ნალველში გაბანს, რომ ჰაწა ბიჭიკო ვერ მიეყრდნოს მკერდზე; ახალგაზდა ასულსაც მალ მოსწყინდება სატრფოს საფლაგზე ცრემლების ფრქვევა და ჩანგის სიმებს შეახებს თითებს სევდის გამფანტველ ჰანგთა ასაღერებლად, მაგრამ ვის მოსწყინდება სენა გედის ყვილის, როდესაც უქანასქნელად ჩამალავს თავს ზვირთებში, შემდეგ ნახად მოიღერს ყელს და ჰაერის სივრცეს უერთებს სიკვდილით მოშამულ სიმღერებს:

სიკვდილის ჩრდილი თავს დამცვილივებს, სიცოცხლისათვის აღარ შემწვევს ძალი და ღონე. ზღვა შეითვისებს ჩემს უმანკო სისხლს, ნიაგის სუნთქვა ველაა გამფანტავს ჩემს მსუბუქ გინგლსა. ოჰ, მეგობარო! რა რიგად მსურდა ყოფნის აღსასრულს მოგვმინა საბედისწერა ჩემი სიმღერა? მაგრამ ახლა ცის სივრცეში სერავ ღრუბლის მთებს, მე კი მთვლემარე ზვირთებს შორის ვეგებები სიკვდილს უღმობელს.

## II ბედის წერა

გაზაფხულის მშვიდ ღამეში სიზმრად მეწვია მშვენიერი ქალწული მკერდ გაღვლილი, გაჩერდა ჩემს სარეცელთან და მითხრა: — უსაზღვრო სევდის გამოხატველი თვალები მოაპყარ ჩემს მკერდს და ზედ აღბეჭდილ ყვივილს მსგავს სტრიქონებში ამოიკითხე შენს ბედის წერას

ამოვიკითხე: „ბედნიერებას მხოლოდ ის განიცდის, ვინც კოტასა გრძნობს და აწმყოთი ყმაყოფილია, შენ კი ვერასოდეს ვერ იხილავ ოცნების ყვივილს, ვერ ეღირსები შევების გაზაფხულს, მარადისობის საიდუმლოს ვერ უზოფნი განმარტებას, ისე განთქამის სამარე ბნელი“.

*მის. სომქორნიძე*

(შემდეგი იქნება)



მგოსანი ქალი ბაბილიან

ღღეს დილას ჰმართავს სახალხო სახლში

# სამუსიკო განყოფილება

აკაკის დილაზე 8 მარტს \*)

ძალიან საზრისიანი ნაბოჯი იყო კომიტეტის მხრივ, რომ მან მუსიკალურ განყოფილებისათვის სამს მუსიკოსს მოუყარა თავი: ბ. ბ. ფაღიაშვილს, კარგათელას და ფოტნუერაშვილს. ორი უკანასკნელი მუსიკოსი გამოვიდა თავისი ნაწარმოებით, მხოლოდ ბ. ფაღიაშვილმა შესრულდა ორკესტრით შიშვნისა და ბეთჰოვენის სამგლოვანო მარშები მაგრამ უფრო სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, ბ. წ. ფაღიაშვილაც თავის საკუთარი ნაწარმოებით გამოსუფიყო და სწორედ აქ ვერ გამოუჩენია აკაკის დამტყდალე კომიტეტს შორსგაშტრიალობა, რომ ამ დღისათვის შეეკვეთას სამგლოვანო მარში ან კადეც სხვა რაიმე დიდის შესაფერი მუსიკალური ნაწარმოები, რითაც კომიტეტი ჩვენ მუსიკალურ ლიტერატურას დღის სამსახურს გაუწყვდა და თათი მუსიკანებისგან ითურს კონკურსს გაუჩენდა...

შიშვნის სამგლოვანო მარში და ნამეტნავად ბეთჰოვენის უკვდავ „საცემირო სიმფონიადამ“ ანთლებული მარში სასიამოვნო მოსასმენი იყო, მაგრამ უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას დასტოვებდნენ, რომ სიტხთველე შეეტანა. ორთავე მარში მუსიკალური იყო მდარე, უფერულად, აკვდა ლოტბარის ციურნი ნაწერყალი. არ შეიძლება ლოტბარმა მარტატურაში თავისი სხავიც არ შეიტანოს. ბეთჰოენი ხომ კარგა და ჭეინოსი,

\*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენს უნებლით დაგვიანდა.



მაგრამ იმასაც დაიდი შესრულება უნდა. მხატვრული ასრულება ნაწარმოების ორეკსტრით ლოტარისათვის დიდ რაღმე მიგვაჩინა და ამ მხარეს შემდეგში ვაძეგ შევეხებით, როდესაც ვრცლად გვექნება ლაზარაკი ზ. ფაღიაშვილზე როგორც საზოგადო მოღვაწისა და კომპოზიტორზე.

ორიგინალური, მაგრამ სისამაონო მისასმენი იყო ბ. ია კარგარეთელის ანდერძი, საგალობლებად გადადებული. ანდერძს ჩვენში არ მღერინან, მხოლოდ კითხულობენ და რომ მისაწყენი არ იყოს, ანამედ უფრო სისამომენო მისასმენი, ბ. კარგარეთელს ეს ანდერძი ნოტებზე დაუწერია. საგალობლები ფრანდ ტკბილი მისასმენია, კარგადაც იყო ხოროსაგან შესრულებული. მაგრამ ვაშობათ, რომ ეს გალობით ანდერძი ვერ გამოდგეს, ვინაიდან თუ მიუღო ანდერძი იგალობეს, მაშინ ჰანაშვილი თითქმის ნახევარ დღეს გასტანს

ბ. ფოცხვერაშვილმა შესრულა ორი საგალობელი: „ისუღთა თანა აღსრულებულთა მარ. თაღათასა და ჯწმინდათა თანა განსუენე“... ისუღთა თანა აღსრულებულთა“ ქართული საგალობელია ოთხ ხმაზე დამუშეებული, ჯწმინდათა თანა კი თავისი საკუთარი თხზულება არის, ქართული ელფერია სასუბითი არის დანული. ორივე საგალობელი ძალიან სადათ არის დაწერილი. ადვილი შესათვისებელი, ამასთანავე ძალიან სისამაონო მისასმენი. გლოვის ზარი სასუბითი არის მათში დანული და გულსაღაღუ შთაბეჭდილებას სტოკებს. მხოლოდ არ შეგვიძლიან ლოტარს არ უკოჟიონ ის, რომ იგი ეოველ საგალობელს ძალიან ზქანურებს, აგრძელებს. ლოტარს არ კმარობს მძიმე ზომის, იგი ეოველ ფრანსის შემდეგ იმოდენა ფერმატოს აკეთებს, რომ მსმენელს სული ხდება, რადგანაც ზატარა საგალობელი, რომელიც უნდა ნახევარ წუთში გათავდეს; ბ. ფოცხვერაშვილის ასრულებით მ-ნ წუთი გრძელდება. არ შეიძლება მძიმე საგალობლებში ბეგონი ფერმატოს შეტანა, მით უფრო, რომ ეს ხოროსათვისაც სასიფათოა, იმ მხრავ, რომ გაუწერთნელი და სისტემატიურ სვოლას მოკლებული მომღერალი დღის ხანს ვერ იკავებს ხმას, ატოკებს მას და სდებთ წესიერ ტონს;

სწორედ აქედამ წარმოსდგებოდა ის სამწუსრო მოვლენა, რომ ხან სიზზანობი, ხან ალტები სდებობდნენ წესიერ ტონს და აფუკებდნენ საგალობელს. ამას კომპოზიტორმა ვეროჟანი უურადლებს უნდა მიაქციოს, რომ იმის სელოთნურ ასრულებას მეტი სიმშვენეურე ხსდეს.

გ. საყვარელიც

ჰინეპლან

ლოურჯი ველები ვაზაფხულისა ტურფად აშლილა, ამწვანებულა... თიგულები ნაზი იისა ველს მოჰფენია, აყვავებულა.

ვერვფ თაფლარისა ნაზსა იისა, და თან ყურს ეუღდებ ბუღბულის სტენას. ყეფს, ყეფს, ვაპკივის ტია-ტიასა ტკბილ ჰანგებით ეძლევა ლხენას.

მგოსანი ლყეფს ჩემ შავ ოცნებით, მალლა ვაპკივის, აყრუებს ტყე ველს... მებრამ, ვი, რომ არა რგებს შვებათ ხმა ტბილი გულსა ვერ აძლევს საშველს.

ბ

შხამით საცევა ჩემი ლექსები... ეგ რისგან არის, თვით უწყვი კარგად: — შენა ხარ იგი, ვინცა ვამნება ჩემს გულსა და სულს დაადე ხარკად.

შხამით საცევა ჩემი ლექსები... ეგ რისგან არის თვით უწყვი კარგად: — ნაწამებ გულსა ამიერიდან გველი და სატრფო დაწევა ზარგად.

ბ

სწორედ იმ ადგილს, სად აუშინ სატრფო ჩვენსა სიყვარულს გრძნობით ლოცავდა, ტრემლავს აფრქვევდა, იცით, რა ვნახე: — ღღეს შხამიანი გველი ცოცავდა.



**ილია გაბრიელისძე ჩუბინაშვილი**

სახალხო სახლის გამგე, რომელსაც მუშაობის მოკვეთის მიზნით ფენი მოსტრეს, უკვე სახელმწიფოდან გამოვიდა და სამსახურს შეუდგა. სახალხო სახლის მოსამსახურეთა და სექციების განუზრახავთ, თავისი ხარჯით გაუყეთონ ზის ფენი.

**შემოდგომა სიყვარულიან**

(ეტიუდი ი. ილესისა. ნათარგმანები უკრაინულიდან

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 14)

**დედაბ.** ბუხარი ისევ ანთია? ჯერ არ ჩამქარალა? (აღაგებს შემოტანილ შუშას) ქარმა თითქოს იყუნა. სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ რასმეს ყურს უგდებს. დაუგდებს ყურს, ყველაფერს გაიგებს, შემდეგ კვლავ აეშვება თითქოს ჯაქვით ყოფილიყოს დაბმული და განაგრძობს სირბილს ქოხის ირგვლივ, დაიწყებს სარკმელზე მოწოლასა და სისინს..(უუუ-რებს ვაჟს) ბატონო, პატარა ქალბატონი ეს არის ახლა მოზრძანდა დაქანცულ-დათენთილია. ლოგინს მეორე ოთახში გაგიშლით ძილის დროს. თქვენ არა დატყობოთ რა, ქალბატონს კი თვალები ჩასცვივინა... ეგჰ, რომ აღსდგებოდეს დიდი ქალბატონი, მოგვხდებოდა ყველას, განსაკუთრებით მე ბებრუხანასა და გამოჩერჩეტებულს. არ აღსდგება ქალბატონი. განისვენებს იგი. მე კი ახლაც დავდივარ ტყეში და ვისმენ ქარის ხართან მოთქმას. ვერ იქმნა, ვერ გამოვიტირე ჩემი გაჯახირებული ცხოვრება. იმ ღამეს, დიდი ქალბატონი რომ გარდაიცვალა, ქარმა მოჰგლიჯა სახლის ნახევარი სახურავი.

**ვაჟი.** ესლაც ყველგან შემოდგომაა და ქარი, დიდდო?

**დედაბ.** ყველგან, კველგან, ყმაწვილო.. მაშ წაივლეთ - გაგიშლით, მაგრამ რა გაგიშლით? ყველაფერი წაიღეს ქალაქს.. უკაცროთ, როგორც მოგვიხერხდება, ისე გაგიშლით.

**ვაჟი.** ჩვენ ჯერ ისევ ვისხდებით. მცირედენ რამეზე უნდა მოვილაპარაკოთ. მე მსურს ამ ადგილის ყიდვა.

**დედაბ.** და მე უნდა ვამავლოთ ტყეში? ვიღრე არ მოგვევლები, ვერავინ იყდის ამ ქოხს აქ... ავი სული სცხოვრობს! ყოველ ღამე ჯოხით გვირახუნებს ხა, ხა, ხა, ხა! შეგაშინეთ? ნუ გეშინიათ, ყმაწვილო, თუმცა ავი სული არის, მაგრამ ჩემი ეშინიან. ერთი სიტყვა ვიცი, ვიტყვი და გაჰქრება! არა გჯერათ, ბატონიშვილო?

**ვაჟი.** რა? მე არ გამოვიცა, რასა ჰლაპარაკობდით.

**დედაბ.** დიად, დიად! თქვენ თქვენ თავს უგდებდით ყურს. თვითებული მხოლოდ თავის თავს უსმენს. სხვასთან კი საქმე არა აქვს. მე გეკითხებით: რა დავიდლოთ თავით? ბალოში არა მიქვს.

**ვაჟი.** ნუ სწუხდებით, მკლავზე წამოგწვებით.

**დედაბ.** რაო მკლავზე? მკლავზე დამინების ნებას არ მოგცემთ. ერთხელ ზაფხულში დევდვანთან სარკმლის წინ მივწყექი და დავიძინე, ყვაილებმა დამათვრეს, როდესაც ავდექი, დავინახე რომ ვილაც ბატონს ეძინა მკლავზე. გამოღვიძებდა გვიანდა იყო, ბატონს ისე ტბილად ეძინა მე არ გამოშლია მისთვის ლოგინი და მას თვინდა უნებლიეთ მკლავზე დასძინებოდა.

**ვაჟი** (ზელაფუნურად) რა უშავს, ყაძახურად დავიძინებ! ყაზახები ხომ თავის ქვეშ ხშირად ქვასაც იდებენ ხოლმე.

**დედაბ.** (აწუგუტანებს) და არა თბილ ხელს... ყაზახები.. ის ყმაწვილი კი ბატონი ბრძანდებოდა, ბალოშ მიჩვეული. (პაუზა) დილით მივთელ-მოვთელე ყველა ჯვავილი და მას აქეთ იქ აღარ მიძინებია.

**ვაჟი** (სარკაცით) ჰყარაულობდით?



**„მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ გამგეობა**

თავმჯდომარე ქაჯდრატურგი თავ. აღ. ი. სუმბათაშვილი-ფუქსი (X), მარტსივე თავმჯდომარის ამხანაგი კეიმა მ. თ. ზანდუკელი (XX), გამგეობის წევრი კომპოზიტორი დ. ა. ზაფიშვილი (XXX) და სხ.

**დედაბ.** ვეარაულობდი, ვიცავდი ქალბატონის სიმშვიდეს მე ქარს პირი უბრუნე, დავამწყვედი ღამით აფთარი, რომ არ გააღვიძოს იგი.

**ქალი.** ძიძავ! წადით, დაიძინეთ! კმარა ლაპარაკი.

**დედაბ.** შესმის, ქალბატონო! (მადის)

**ვაჟი.** ქაჯია სწორედ.

**ქალი.** მე მიყვარს იგი!

**ვაჟი.** რისთვის?..

**ქალი.** იმიტომ, რომ მე უყვარვარ.

**ვაჟი** რატომ ყველა არ გიყვარს, ვისაც უყვარხარ.

**ქალი.** კვლავ ხუმრობა! გემზიარულე-ბათ?!

**ვაჟი.** გემზიარულეობა... (პაუზა) ხანდის-ხან მხოლოდ ხუმრობაში შეიძლება სიმაართლის თქმა. (პაუზა) რისთვის მისწერე იმას ბარათი?..

**ქალი.** აღარ შემეძლო ტანჯვა, ბედნიერების მოპარვა. აღარ შემეძლო მოპარვა იმის ტრფობის ნამცეცხვისა.

**ვაჟი.** ბედნიერებას ასე ადვილად არა სთმობენ?..

**ქალი** ნუ მტანჯავ! (პაუზა) მე შენი ბედნიერება მწადალა...

**ვაჟი.** დიად. გსურდა ავტორიტეტებინე სულით?! გწადადა გაგებრწყინებია ჩემს წინახალი უუქი, დაგებუნებინე სიკვდილის გზიდან და წაგეყვანე სიცოცხლის წალოცისაკენ?! გსურდა თვალნი ჩემნი მომავლისკენ მიგეპტრო?... ეს ბედნიერება გსურდა ჩემთვის?

**ქალი.** შენ ეგ არ გინდოდა.

**ვაჟი.** რომ არ მდომებოდა, აქ არ ვიქნებოდი...

**ქალი.** რომ გდომებოდა, დღეს არ იქნებოდი აქა.

**ვაჟი** მინდოდა, მაგრამ არა მჯეროდა.

**ქალი.** და მით მომკალი, მოკალი ჩემი რწმენა.. მკვდრები ჰხოცავენ ცოცხლებს.

**ვაჟი** შენა სთქვი—სიცოცხლე სიკვდილზე ძლიერიაო..

**ქალი.** დიად, სიცოცხლე ძლიერია ვიდრე სიკვდილი, მაგრამ ძლიერებისთვის. შენ კი არა ხარ ძლიერი.

**ვაჟი.** მაშ რათ გაურბიხარ ჩემთან ბრძოლას.

**ქალი.** შენ შეგიძლიან მოერეო ბევრს—შენს თავს კი ვერ მოერევი და ამისათვის მე...

**ვაჟი.** ამისათვის წახველი ჩემგან... მე არ გაგშორდები! სადაც უნდა წახვიდე, სადაც უნდა დაიშალო, ყველგან გიპოვი... მოგძებნი... შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის... ყველაფერი. . . მთელი ქვეყანა. ვის ძალუძს წაართვას შენი თავი ჩემს თვალებს, ჩემს ფიქრებს, გულს?

**ქალი.** როგორ ველოდი ამ სიტყვებს და რა ვვიან შესმის...

**ვაჟი.** სუ, სუ... შენ ჩემი ხარ! ათასჯერ ჩემი ხარ, ხომ არ წახვალ ჩემგან.

**ქალი.** მოიგონე ის, ვისაც არ დასტოვებ.

**ვაჟი.** უკვე მოკვდა ჩემთვის მთელი ქვეყანა... მთელ ქვეყანაზე არავინ და არაფერია ჩემთვის შენს გარდა.

**დედაბ.** (შემოდის) ქალბატონო! მინდა შეგეკითხოთ ..

**ქალი.** სთქვი, ეგ რა არის?

**დედაბ.** მსურდა შეგეკითხებოდით — ხომ არ იცით ვისია ეს ბექელი? (აჩვენებს ბექელს)

**ქალი.** არ ვიცი ..

**დედაბ.** (ქმარჯავს) იქნება თქვენ იცოდეთ? მამაკაცისას ჰგავს .. ჯერ ისევ ზაფხულს ვიღაცას ხელი უზანია და დაპვიწყებია... სახლს რომ ვალაგებდი - ვამიკვირდა — ეს რა არის მეთქი. შუშის ნატეხი მეგონა. ბექელი-კი ყოფილა, ვიღაცას დაუქარავებს . ალბად ცოდინისა, ან დანიშნულისა. თქვენ ხომ არ იცით, ბატონო?

**ვაჟი.** არ ვიცი

**დედაბ.** როგორ არა, ეს ბატონის ბექელია. (სტანებს ხელს და ძალად უკეთებს). ხა, ხა, ხა, ხა! მივხვდი?! (იღინის)

**ვაჟი,** ხომ არ შეიშალე?.. (იძრობს ბექელს და მავდაზე სდებს)

**დედაბ.** მე კი ბატონი უცოლო მეგონა, ხა, ხა, ხა, ხა... უკაცრავად, კმაწვილო, თუ ისევ ვერ გავიშლი ლოგინს, როგორც სახლში გიშლიან. (გადის)

**ქალი.** მაგან საიდან აიღო ბექელი?

**ვაჟი.** ჯერ ისევ ზაფხულში დავპყარე... მაგას მოუპარავე!

**ქალი.** საწყალი ძიძა... (ზაუსა) როდის გათავლებუა ჩემი ტანჯვა.

**ვაჟი.** არასოდეს.

**ქალი:** გიყვარვარ?

**ვაჟს.** მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ.

**ქალი.** ვასწი... ღიძინე.

**ვაჟი.** ცხენებს გავისტუმრებ! მიცილიან.

**ქალი** (შეშინებული) არავითარ შემთხვევაში წადი ჩქარა!

**ვაჟი.** არ წავალ.

**ქალი.** მაშ მე წავალ შენს ცხენებით.

**ვაჟი.** ჩემთან ერთად?

**ქალი.** არა, მარტო...!

**ვაჟი.** არც ერთი წავალთ, არც ერთ-

თი! (მსწრაფლ გადის. ქალი აღელვებულია, არ იცის რა ქჰსინას. დაიძრნენ ცხენები. აწარაადნენ ზანა-ეფენები. წკრაალი თანდათან მიუქრდე. ბა. ვაჟი ბურუნდება ქოხში)

**ქალი.** ეგ რა ჰქმენი? დააბრუნე უკანვე.

**ვაჟი.** უკვე შორს არიან ცხენები (ზაუსა)

**ქალი.** რისთვისა მტანჯავ, რისთვის .. ძალა აღარ შემეწვეს...

**დედაბ.** (შემოდის) ცხენები... წავიღენენ?! (ზაუსა) ლოგინი გაშლილია!

**ქალი.** კეთილი, ძიძავ, ბატონი ახლავ მოგა... (დედაბერი გადის. ვაჟს) წადი.. ღიძინე.

**ვაჟი.** შენ დიქანცე?

**ქალი.** ღიძი, მოვიქანცე...

**ვაჟი.** ხომ არ დამშორდები, ხომ გიყვარვარ?..

**ქალი.** წადი, ნუ მტანჯავ, წადი.

**ვაჟი.** შენ ძვირფასი ხარ ბედნიერებაზე, სიცოცხლეზე მხოლოდ ახლა მივხვდი. (უგოგნის ხელს, იღებს სახთელს და გადის)

(ქალს უნდოდა ტანთ გაჯახნა, მაგრამ არ გაახნა. გადასდგა სახთელი, სარკმელთან მივიდა, გაჰსინჯა — მაგრამა დაკეტული თუ არა? ჩანაქრო სანთელი. მიწვა სწოლად, რომელსაც „შირმა“ აქვს ამოფარებული. ასე რომ მხურბელი ვერა ჰხედავს მწოლიარე ქალს. სარკმელიდან შემოანათა ლურჯ ფრცხლისფერ შუქს, ჩანაქრობად გამზადებულ ბუხრიდანაც გამოჰკრთა წითელი შუქი. ვიდაცა მივიდა სარკმელთან და შეიხედა ქოხში: მის შემდეგ გამოჩნდა დედაბრის თავი, სხდაც დაჩახუნდა. სიჩუმე. შრიალი. აიღებს კარები და შემოდის ვაჟი. დიდხანს სდგას გაუბეჯავდ. პოლიას გაუმართება სწოლისაქენ. მას უკანდან დასტრქმულად მოღერილი დანით ჩრდილივით ეპარება დედაბერი. ემაწვილისა და დედაბერის მიახლოვება ქალთან სიამაზისა და არა სინამდვილე. რამდენადაც ემაწვილი ახლოა ქალის სწოლთან, მით მისთან ახლოა დედაბერი ბუხრისა და მთავრის შუქი ჩაჰქრა, ქოხში სიბნელე დამყარდა. ემაწვილი მიუახლოვდა სწოლს).

**ქალი.** ვაიმე, ვაი, ვაი! ძიძავ, ძიძავ, ძიძავ! მეშინიან!

დედაბ. (აღებს კარებს და სანთელით ხელში შემოდის ოთახში) რა მოხდა, ქობულთა, რა იყო?

